პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გამოცემის 30-ე წელი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
27 დეკემბერი
1949 წ.
№ 255 (8558)
ფასი 20 კაპ.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ახალი გამარჯვებებისაკენ

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღესასწაული შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, იგი გადაიქცა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი სიყვარულის მძლავრ საყოველთაო-სახალხო დემონსტრაციად. დიდ სტალინზე, მშრომელთა ბედნიერებისათვის მის გმირულ ბრძოლაზე აღტაცებით ლაპარაკობენ მთელი დედამიწის ხალხები. სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის.

საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი მკაფიოდ იჩენს თავს მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის უდიდესი აღმავლობით. დიდი ენერგია, რომლითაც საბჭოთა ადამიანები წყვეტენ ამხანაგ სტალინის მიერ მათ წინაშე დასახულ ისტორიულ ამოცანებს, ხორცს ისხამს მილიონობით მუშათა, კოლმეურნეთა, ჩვენი ინტელიგენციის სახელოვანი შრომითი საგმირო საქმეებით.

ხალხის მასების პატრიოტულ აღფრთოვანებას მეთაურობენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან.

პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ლენინ-სტალინის იდეების პროპაგანდისათვის. მილიონობით კომუნისტები და უპარტიოები ბეჯითად სწავლობენ ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებს, ამ ნაწარმოებებით იძენენ ცოდნას, მტკიცე რწმენას, ახალ ძალებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ამ დღეებში პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველგან მოაწყეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის შესწავლა წრეებსა და პოლიტიკურ სკოლებში, აწყობენ ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ყველა საწარმოში და მშენებლობაზე, ყველა კოლმეურნეობაში, დაწესებულებასა და სასწავლებელში განსაკუთრებული აღფრთოვანების ვითარებაში ჩაიარა ხალხმრავალმა მასობრივმა კრებებმა.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღესასწაულის დღეებში მთელი მსოფლიოს წინაშე ახალი ძალით დემონსტრირებულ იქნა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ თავიანთი მშობლიური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ! — ასეთია მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება.

განამტკიცონ მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის მძლავრი აღმავლობა, დარაზმონ მათი ძალები კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად — პარტიული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. ლენინმა და სტალინმა ჩვენს პარტიას მისცეს მძლავრი იდეური იარაღი კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ეს იარაღია მარქსისტულ-ლენინური თეორია, ლენინ-სტალინის იდეები. ლენინურ-სტალინური ყოვლისმძლე იდეებით შეიარაღებულ ბოლშევიკურ პარტიას გაბედულად და მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გზით.

ლენინმა და სტალინმა შეაიარაღეს ბოლშევიკური პარტია მასებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებით. თვითეული პარტიული ორგანიზაცია სრულყოფილად უნდა დაეუფლოს ამ ხელოვნებას, უნარიანად გამოიყენოს იგი თავის ყოველდღიურ მუშაობაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ პარტია ყოველთვის წინ მიდიოდეს, ყველგან სათავეში ედგეს მოძრაობას და ასრულებდეს თავის ავანგარდულ როლს, არამედ იმაშიც, რომ პარტიამ გაიყოლიოს მილიონიანი მასები, არ მოსწყდეს მასებს.

პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდისათვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვხელმძღვანელობდეთ ლენინური მითითებით იმის შესახებ, რომ ჩვენი სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. „იგი ძლიერია მაშინ,—გვასწავლის ლენინი, — როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე მსჯელობა შეუძლიათ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ“. მასების პოლიტიკურ განათლებას უნდა ახორციელებდნენ პარტიული ორგანიზაციების საუკეთესო ძალები, პარტიული აქტივი, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ნამდვილი ბოლშევიკი ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც უნარი აქვთ არა მარტო ასწავლონ მუშებსა და გლეხებს, არამედ კიდევაც ისწავლონ მათგან.

ხელმძღვანელობენ რა ამ მითითებებით, პარტიული ორგანიზაციები დაუცხრომლად უნდა აძლიერებდნენ კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან, სწავლობდნენ მასებისაგან, ყურადღებით უგდებდნენ ყურს მათს ხმას, მხარს უჭერდნენ მათს შემოქმედებითს ინიციატივას, თავის გარშემო იკრებდნენ უპარტიო აქტივის ფართო ფენას. უამისოდ შეუძლებელია წარმატება მუშაობაში.

ჩვენი წინსვლის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა.

„მე მგონია, ამხანაგებო, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—რომ თვითკრიტიკა ჩვენ ისე გვესაჭიროება, როგორც ჰაერი, როგორც წყალი. მე მგონია, რომ უომისოდ, უთვითკრიტიკოდ, ჩვენს პარტიას არ შეუძლია წინსვლა, არ შეუძლია გამოააშკარაოს ჩვენი მტკივნეული ადგილები, არ შეუძლია აღმოფხვრას ჩვენი ნაკლოვანებანი“.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჭეშმარიტად გრანდიოზულია. ჩვენი დიადი მიღწევები საბჭოთა ხალხის კანონიერი სიამაყის საგანს შეადგენენ. მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონია განუწყვეტელი წინსვლა, ახალ-ახალი წარმატების მოპოვება.

გულდამშვიდებისა და უდარდელობის წინააღმდეგ, მუშაობაში უძარაობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცადი საშუალებაა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, ვინც აფერხებს და აბრკოლებს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. თვითკრიტიკის დევნა, ამბობს ამხანაგი სტალინი, ნიშნავს პარტიული ორგანიზაციის ყოველი თვითმოქმედების ჩაკვლას, პარტიულ მასებში ხელმძღვანელობის ავტორიტეტისათვის ძირის გაძოთხრას, პარტიის გახრწნას და პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში პარტიული მოსისხლე მტრების — ბიუროკრატების ანტიპარტიული ზნე-ჩვეულების დანერგვას.

ყველა პარტიული ორგანიზაცია კოოპუსისტებს, ჩვეხ კადრებს უნდა ზრდიდეს საკუთარი თავისა და სხვებისადმი მკაცრი მომთხოვნელობის სულისკვეთებით, გაბედული კრიტიკის სულისკვეთებით. საჭიროა მუდამ ვხელმძღვანელობდეთ ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ქმედითი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რომ პარტიული და საბჭოთა კადრების განუყრელი ღირსებები უნდა იყოს ბოლშევიკური თავმდაბლობა, ხალხის საჭიროებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში მაღალი იდეურობა და პრინციპულობა.

ამხანაგ სტალინის მოძღვრების თანახმად, კრიტიკასა და თვითკრიტიკასთან განუყრელად დაკავშირებულია სოციალისტური შეჯიბრება — **„ბერკეტი,** რომლის შემწეობითაც მუშათა კლასი მოწოდებულია სოციალიზმის ბაზაზე გარდაქმნას ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება“.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო და თვითეული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის სამეურნეო მშენებლობის მძლავრი მამოძრავებელი გახდა. იგი ავლენს და ხალხის სამსახურში აყენებს ჩვენი სახელმწიფოს საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობის აურაცხელ რეზერვებს. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღე უხელმძღვანელონ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის შეჯიბრებას. დაე დღითიდღე მტკიცდებოდეს ჩვენი სამშობლოს ძლიერება და იზრდებოდეს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა!.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი შემდეგ შთაგონებულ სიტყვებს ვკითხულობთ:

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შენ მუდამ გვასწავლიდი და გვასწავლი ჩვენ, ბოლშევიკებს, ვიყოთ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი, ძალების დაუზოგავად ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ყველაფერს ვაკეთებდეთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა შენში ხედავენ მასწავლებელსა და ბელადს, ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს.

...დიდი ბედნიერებაა, რომ ვცხოვრობთ და შემოქმედებითს მუშაობას ვეწევით ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, ვეკუთვნით ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ადამიანების გმირ თაობას, რომლებიც სტალინურ ეპოქაში იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის, სტალინის ხელმძღვანელობით!“.

ყველაფერში მივბაძოთ დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მაგალითს, ვიყოთ კომუნისტური საზოგადოების დაუღალავი და თავდადებული მშენებლები — ასეთია ყველა, პარტიული და არაპარტიული, ბოლშევიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კანონი. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

„პრავდის“ 25/XII მოწინავე

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

თქვენი დაბადების 70 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს მიიღეთ ლიტველი ხალხის უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა თქვენდამი— ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბელადო, მასწავლებელო და მეგობარო.

თქვენს სახელთან, ყოველი მშრომელი ადამიანისათვის უსაზღვროდ ძვირფას სახელთან, დაკავშირებულია მძლავრი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა. თქვენ, — ლენინის საქმის გენიალურმა განმგრძობმა — უზრუნველყავით საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება შრომაში და სამშობლოსათვის ბრძოლებში. თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. მთელი მსოფლიოს მშრომელები თქვენი სახით ხედავენ თავიანთ ბელადს დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ლიტველ ხალხს არა ჰყავს უფრო ძვირფასი ადამიანი, ვიდრე თქვენ, მისი საუკეთესო მეგობარი, დამცველი და განმათავისუფლებელი.

თქვენი სახელი აღფრთოვანებდა ლიტველ ხალხს თავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. თქვენი სახელი აღფრთოვანებდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ გაათავისუფლეთ ლიტვა ფაშისტური უღლისაგან, ლიტველ ხალხს დაუბრუნეთ ლიტვის დედაქალაქი—ვილნიუსი და საზღვაო ნავსადგური კლაიპედა, ლიტვის მთელი მიწა-წყალი გააერთიანეთ ლიტვის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ.

ომისშემდგომ წლებში ლიტველმა ხალხმა, თქვენი უდიდესი დახმარებისა და ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით, მოიპოვა დიდი წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. უდიდესი გარდაქმნები ხდება ლიტვის სოფელში, რომელიც ძლიერად და მტკიცედ [illegible] ნით დაადგა საკოლმეურნეო მშენებლობის გზას.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ ლიტველი ხალხი ძალების უფრო მეტი დაძაბვით იშრომებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს — ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების ბურჯის — ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სამშობლოს ხალხების საბედნიეროდ, მთელი მშრომელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს დიდი ბელადი და მასწავლებელი—ჩვენი მშობლიური და საყვარელი ამხანაგი სტალინი!

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ
ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი დაბადების სახელოვანი 70 წლისთავის დღეს ლატვიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, ლატვიის სსრ მშრომელებთან ერთად, გიძღვნით თქვენ, ლენინის დიდ თანამებრძოლსა და მისი საქმის განმგრძობს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამფუძნებელს, ხალხთა ბრძენ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელსა და მეგობარს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მხურვალე სალამს, გულითად მოლოცვას და სურვილს — იცოცხლოთ მრავალ, მრავალ წელს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ.

50 წელზე მეტი ხანი თქვენ მოახმარეთ მუშათა კლასის საქმისათვის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრული მასების ბედნიერებისათვის ბრძოლას. თქვენი დიდი რევოლუციური საქმეები ჩვენთვის ბოლშევიზმის საუკეთესო სკოლაა. ისინი გვასწავლიან მხურვალედ გვიყვარდეს ჩვენი ხალხი და სამშობლო, ულმობლად ვიბრძოლოთ მტრების წინააღმდეგ და გადავლახოთ ყველა სიძნელენი კომუნიზმის გზაზე.

თქვენი სახელოვანი დიდი ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია ლენინთან ერთად შექმნილ და თქვენი ხელმძღვანელობით მოქმედ გმირულ ბოლშევიკურ პარტიასთან, კაპიტალიზმის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისა და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლასთან.

თქვენ ხართ მსოფლიოს ჩირაღდანი, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლისა და იმედის დროშა.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ლატვიელმა ხალხმა 1940 წელს სამუდამოდ მოიშორა კაპიტალისტური მონობის საუკუნეობრივი უღელი და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. თქვენ ხართ ჰიტლერელ დამპყრობთა მიერ დამონებისაგან ლატვიის მიწა-წყლის დიდი განმათავისუფლებელი. ლატვიელი ხალხი, ისე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხი, თქვენ გიმადლით თავისუფალ, ბედნიერ და სანიხარულო ცხოვრებას. ლენინურ - სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელმაც შექმნა საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, უზრუნველყო ლატვიელი ხალხის აღორძინება და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავება სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში. საბჭოთა ლატვიის ბოლშევიკები და ლატვიელი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მაღლა ასწევენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად უძლეველ დროშას და თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ივლიან წინ, კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ, მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნიან თქვენ, ლენინის უკვდავი საქმის დიდ განმგრძობს, საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ და მხურვალედ საყვარელ ბელადს.

მთელ თქვენს შესანიშნავ ცხოვრებას, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, თქვენ ახმართ მუშათა კლასის საქმეს, მშრომელთა საქმეს. დიდ ლენინთან ერთად თქვენ შექმენით ბოლშევიკების პარტია, შეაიარაღეთ იგი მარქსისტულ-ლენინური თეორიით და გამოაწრთეთ მშრომელთა განთავისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლაში. ლენინთან ერთად თქვენ უშუალოდ ხელმძღვანელობდით დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, დააარსეთ მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. ლენინის გარდაცვალების შემდეგ თქვენ, ამხანაგო სტალინ, მაღლა ასწიეთ ბოლშევიკური პარტიის დროშა, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა. მტკიცედ მიგყავთ რა ჩვენი პარტია ლენინური გზით, თქვენ დაიცავით მისი ერთიანობა, ამხილეთ და გაანადგურეთ იმპერიალიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი დაქირავებულნი. თქვენი ხელმძღვანელობით მიღწეულია ჩვენი სამშობლოს უდიდესი გარდაქმნები — განხორციელებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, აშენებულია სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმის ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი განმტკიცებულია ჩვენი ეპოქის თქვენ მიერ შექმნილი შესანიშნავი დოკუმენტით—სსრ კავშირის კონსტიტუციით, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა. თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბრწყინვალედ განხორციელდა ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკა, რომელმაც განამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა მარადიული მეგობრობა, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. თქვენი ყოველდღიური მზრუნველობის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ყირგიზეთის სსრ, რომელმაც საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ თანამეგობრობაში, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ყირგიზი ხალხი მარად მადლობელია თქვენი, ამხანაგო სტალინ, ყოველივე იმისათვის, რაც თქვენ საბჭოთა ყირგიზეთის განვითარებისა და აყვავებისათვის, რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გადიდებისათვის გააკეთეთ.

თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომის წლებში გაანადგურა გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტები, დაიცვა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა.

თქვენ, ამხანაგო სტალინ, მეთაურობთ და აღაფრთოვანებთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის კეთილშობილურ, სამართლიან ბრძოლას აგრესორთა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად, კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლეს დიდი სოციალისტური სამშობლოს ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ სტალინს!

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ღირსშესანიშნავ დღეს—თქვენი დაბადების 70 წლისთავზე — სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გისურვებთ თქვენ, პარტიისა და ხალხის ბრძენ ბელადს, მრავალ წელს ჯანმრთელობას საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

სომეხი ხალხისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, თქვენს სახელზე, დიდი სტალინის სახელზე ძვირფასი და მახლობელი არაფერია.

თქვენს სახელთან დაკავშირებულია ყველა იმედი და მისწრაფება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ნათელი მომავლისათვის.

დიდ ლენინთან ერთად თქვენ დააარსეთ მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის გზის მანათობელი შუქურა გახდა.

საბჭოთა სახელმწიფოს დიად მიღწევათა მეოხებით მთელი მსოფლიოს მშრომელებში უფრო და უფრო მტკიცდება სოციალიზმის მომავალი საყოველთაო გამარჯვების რწმენა.

თქვენი ხელმძღვანელობით უმაგალითო სიმაღლეზეა აყვანილი დიდი საბჭოთა კავშირის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ერთგული გუშაგისა და ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა ანტიხალხური ხრიკების წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლის — მნიშვნელობა და საერთაშორისო ავტორიტეტი.

თქვენ შექმენით ახალი კონსტიტუცია, რომელმაც განახორციელა მშრომელთა საუკეთესო დემოკრატიული იდეალები და რომელსაც საბჭოთა ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია. მისი მაცოცხლებელი სხივების ქვეშ განუხრელად მაღლდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე, განუწყვეტლად მტკიცდება საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი და ურღვევი მეგობრობა—მათი ყოველმხრივი განვითარებისა და აყვავების საფუძველი.

დიდ ლენინთან ერთად თქვენ შექმენით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც თქვენი დაუღალავი მზრუნველობის მეოხებით გახდნენ მრისხანე და ურყევი ძალა, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის ყველა მიღწევათა ერთგული დარაჯი, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მტკიცე რწმენით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

სომეხთის კომუნისტები და მთელი სომეხი ხალხი გამსჭვალულია დიდი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით სომეხი ხალხის ბედისათვის თქვენი ფასდაუდებელი მზრუნველობის გამო, სომეხი ხალხისა, რომელიც თქვენ იხსენით მოსპობისაგან და რომელმაც საბჭოთა ხალხების საერთო ოჯახში ჰპოვა ნამდვილი აღორძინება. თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს ერთხელ კიდევ გაძლევთ პირობას, რომ თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით მზად ვართ შემდგომი ბრძოლისათვის, რათა უსწრაფესად მივაღწიოთ კომუნიზმის სრულ გამარჯვებას.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს უძლეველ საბჭოთა კავშირს და მის ხალხთა დიად მეგობრობას!

დიდება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გენიალურ ბელადს —დიდ სტალინს!

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ, ᲑᲝᲠᲩᲜᲘᲡᲘᲡ, ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ, ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ, ᲕᲐᲜᲘᲡ, ᲮᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1949 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულეს, მათ შორის: ძროხისა და ფურკამეჩისა—105,3, მუშა ხარისა და კამეჩისა—109,7 პროცენტით.

ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით, ღორისა—113,5, ცხენისა—100,5 და ფრინველისა—100,3 პროცენტით.

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ კოლმეურნეობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებანი ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭო თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს მხურვალე გულითად სალამს გითვლიან თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელი მშრომელი კაცობრიობის მასწავლებელსა და მეგობარს.

მოლდავეთის მშრომელები თქვენ მოგაპყრობენ ყველა თავის საუკეთესო ფიქრს, გრძნობას, სურვილს და მთელი სულითა და გულით გამოხატავენ დიდ მადლობას ბოლშევიკური პარტიისა და პირადად თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, თავიანთი თავისუფლებისათვის, ეროვნული აღორძინებისა და დამოუკიდებლობისათვის, რესპუბლიკის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის.

მოლდაველი ხალხი უფრო მჭიდროდ დაირაზმება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, თქვენს გარშემო, მშრომელთა დიდო ბელადო, შეგობარო და მასწავლებელო, და თქვენი ხელმძღვანელობით გვიჩვენებს ახალ საგმირო საქმეებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების უძლეველ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას!

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს მრავალ წელს ჩვენი მშობლიური და საყვარელი ამხანაგი სტალინი!

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭო

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ტაჯიკეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ტაჯიკი ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმებიან და გილოცავენ თქვენი დაბადების სახელოვანი 70 წლისთავის დღეს.

თქვენი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, იყავით ერთგული და შეუდრეკელი ლენინელი და ვლადიმერ ილიას-ძის უდიდესი თანამებრძოლი.

თქვენ, უკვდავ ლენინთან ერთად, ცარიზმის მხრივ სასტიკი დევნის პირობებში, შექმენით ბოლშევიკების დიადი პარტია, განამტკიცეთ და გამოაწრთეთ იგი მენშევიკების, ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და სხვა გამცემლების წინააღმდეგ ბრძოლაში, გადააქციეთ იგი მძლავრ ძალად, რომელმაც შეძლო მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა დაერაზმა რუსეთში ცარიზმისა და იმპერიალიზმის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლველად.

თქვენ, გენიალურ ლენინთან ერთად, იდექით მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს აკვანთან და საქმით დაამტკიცეთ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ მოძღვრების სისწორე.

თქვენ, დიდ ლენინთან ერთად, ბრწყინვალედ შეიმუშავეთ ბოლშევიკური პარტიის თეორია და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში და უდიდესი მუშაობა შეასრულეთ ერთ საკავშირო სახელმწიფოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში.

სწორედ თქვენ გიმადლით ტაჯიკი ხალხი იმას, რომ მან, ისე როგორც ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ჩაგრულმა და უუფლებო ხალხებმა, მიიღო თავისი სახელმწიფოებრიობა, ჩამოყალიბდა როგორც ერი და სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში აღორძინდა ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ხართ რა ლენინის ღირსეული მემკვიდრე და მისი საქმის დიდი განმგრძობი, თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, წმინდად დაიცავით და შემდგომ განავითარეთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ბოლშევიკური პარტია მტკიცედ და განუხრელად მიდის ლენინური დროშით, ლენინური გზით. თქვენ ხართ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. სწორედ თქვენ გიმადლით ტაჯიკი ხალხი იმას, რომ მან, ისე როგორც წარსულში ჩამორჩენილმა სხვა ხალხებმა, შექმნა მრეწველობა, სწრაფი ტემპით განავითარა სოფლის მეურნეობა, მოახდინა ნამდვილი კულტურული რევოლუცია.

ტაჯიკი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ დიდი სამამული ომის ძნელ და მკაცრ წლებში თქვენ, როგორც სოციალისტური არმიების დიდი მხედართმთავარი, პირადად მეთაურობდით საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს და უმძიმესი განსაცდელის გადალახვით საბჭოთა ხალხი მიიყვანეთ მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

ტაჯიკი ხალხი ამაყობს იმით, რომ ჩვენი საყვარელი სამშობლო გადაიქცა მშვიდობის მძლავრ ბურჯად, ხოლო თქვენ, ჩვენო ძვირფასო ბელადო, ხართ მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ტაჯიკი ხალხი სულითა და გულით მადლობელია თქვენი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, იმისათვის, რომ თქვენ თვითონ დარაზმეთ საბჭოთა ადამიანები, გარედან რაიმე დახმარების მიუღებლად, ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სწრაფად აღდგენისა და აღმავლობისათვის.

როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, ტაჯიკი ხალხიც ბედნიერია იშრომოს თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის. ჩვენ აღგვაფრთოვანებდა და კვლავაც აღგვაფრთოვანებს თავდადებული შრომისათვის ხალხისა და კომუნიზმისადმი უანგარო სამსახურის თქვენი გმირული მაგალითი.

მაშ იცოცხლეთ, ჩვენო მშობლიურო მეგობარო და მამავ, მრავალ, მრავალ წელს და იდღეგრძელეთ საბჭოთა ხალხისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის საბედნიეროდ და სასიხარულოდ.

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭო
ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ესტონეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს გიგზავნით თქვენ, ბოლშევიკური პარტიის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენსა და საყვარელ ბელადს, თავის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

დიდი საბჭოთა კავშირის გრანდიოზული გამარჯვებანი დაკავშირებულია თქვენს დიდებულ სახელთან, რომელიც მთელი პროგრესული კაცობრიობის ძლევამოსილი დროშა გახდა. თქვენს სახელთან დაკავშირებულია ესტონელი ხალხის განთავისუფლება და აყვავება. თქვენი მითითებებით რესპუბლიკაში შექმნილია სოციალისტური მრეწველობის ახალი დარგი — გაზ-ფიქალის ინდუსტრია.

თქვენი ბრძნული მოძღვრების მიმდევარი ესტონელი გლეხები მტკიცედ დაადგნენ სოფლის მეურნეობის კოლექტიურად წარმოების გზას. თქვენი ინიციატივით შემუშავებულია და ხორციელდება ახალი მიწების გაუმჯობესებისა და ათვისების გრანდიოზული გეგმა, რითაც შექმნილია პირობები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

იფურჩქნება ესტონელი ხალხის კულტურა — შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული. ყოველწლიურად მატულობს რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური შეძლებულობა.

ესტონელი ხალხი მთელ თავის მიღწევებს გიმადლით თქვენ — ესტონელი ხალხის დიდ ბელადსა და საუკეთესო მეგობარს. ესტონელი ხალხი დაუცხრომლად, თავდადებულად მუშაობს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს და მთელი მშრომელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ხალხთა ბრძენ ბელადს, ჩვენს მშობლიურ მამასა და მეგობარს საყვარელ ამხანაგ სტალინს!

ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კარტაპი
ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ვეიმერი
ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. პიალი

თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თურქმენეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელი თურქმენი ხალხის სახელით მხურვალედ გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს და გიძღვნიან მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს.

თქვენ, დიდ ლენინთან ერთად, გამოჭედეთ უძლეველი ბოლშევიკური პარტია, მოაწყეთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა ადამიანები აღაფრთოვანეთ თეთრგვარდიელებისა და უცხოელ ინტერვენტებისაგან ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია—ჩვენი სამშობლოს ძლიერების, საბჭოთა კავშირის მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების საფუძველი.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით დაიცვეს სამშობლო გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და იაპონელი იმპერიალისტებისაგან, ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრეს დიდი სამამული ომი და ახლა წარმატებით შრომობენ, რათა განახორციელონ ომისშემდგომი ხუთწლედი, რომელსაც ხალხმა სიყვარულით უწოდა სტალინური ხუთწლედი.

ასრულებდა რა თქვენს მითითებებს, ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგა ლენინ-სტალინის საქმისადმი ურყევი ერთგულების გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, მზადყოფნა — გადალახონ ყოველგვარი სიძნელე კომუნიზმის აშენების გზაზე.

ასრულებთ რა ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძს, თქვენ მთელს სიცოცხლეს ახმართ ხალხის ერთგულ სამსახურს, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს — მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ხალხთა იმედისა და ბურჯის ძლიერების განმტკიცებას.

თქვენს სახელთან, ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო სტალინ, დაკავშირებულია თურქმენი ხალხის ყველა წარმატება სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების გზაზე.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით თურქმენეთის მშრომელებმა თურქმენი ხალხის ისტორიაში პირველად მოიპოვეს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, სამუდამოდ განთავისუფლდნენ ფეოდალებისა და ბაების მიერ ჩაგვრისა და ეროვნული დამონებისაგან, დიდი საბჭოთა კავშირის მომძე ხალხთა თანამეგობრობაში მოიპოვეს თავისუფალი, შეძლებული და კულტურული ცხოვრების უფლება.

თქვენს სახელს, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მხურვალე სიყვარულით, დიდი მადლობის გრძნობით წარმოთქვამენ ყოველ ოჯახში, ვინაიდან თურქმენეთის მშრომელებმა კარგად იციან, რომ მთელ თავის ბედნიერებასა და თავიანთი შვილების ბედნიერებას ისინი უნდა გმადლობდნენ თქვენ, ბრძენო ბელადო და მასწავლებელო, თქვენს დაუღალავ მზრუნველობას ჩვენი მხურვალედ საყვარელი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდებისათვის, სიმდიდრისა და ძლიერებისათვის.

თქვენი დაბადების 70 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს საბჭოთა თურქმენეთის მშრომელები მოგმართავენ სიყვარულისა და მისალმების სიტყვებით და გისურვებენ ჯანმრთელობასა და ძალას მრავალ წელს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ.

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

ცოცხლობდეს მრავალ წელს ხალხთა ბრძენი ბელადი—ჩვენი ძვირფასი მამა და მეგობარი, საყვარელი ამხანაგი სტალინი!

თურქმენეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი კარელია-ფინეთის ბოლშევიკებისა და მთელი ხალხის სახელით თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს.

თქვენი სახელოვანი სიცოცხლე, თქვენი რევოლუციური მოღვაწეობა, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ხალხისათვის სამსახურის, კომუნიზმის საქმისათვის სამსახურის დიდი, აღმაფრთოვანებელი მაგალითია. დიდ ლენინთან ერთად თქვენ შექმენით ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტია, მოაწყეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, შექმენით მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. თქვენი სახით კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი და მთელი შრომელი კაცობრიობა ხედავენ ლენინის უკვდავი საქმის ღირსეულ განმგრძობს. თქვენს სახელთან, ამხანაგო სტალინ, დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საქმეში ჩვენი პარტიის მიერ, ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული ყველა ისტორიული გამარჯვება. თქვენი სახელით, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიოისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში. თქვენ, ამხანაგო სტალინ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლის სულისჩამდგმელი ხართ. თქვენი სახელი მოწოდებაა ახალი საგმირო საქმეებისა და გამარჯვებებისაკენ, მთელი ქვეყნის მშრომელთა ჩირაღდანი და იმედია უკეთესი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის მათს ბრძოლაში.

თქვენი დაუღალავი მზრუნველობით გარემოსილ საბჭოთა ხალხებს ძმურ ოჯახში კარელია-ფინეთის ხალხმა თავისი პოლიტიკური და სამეურნეო განვითარების სახელოვანი გზა განვლო და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკის ბოლშევიკები და ყველა მშრომელი გამსჭვალული არიან თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, — კარელია-ფინეთის ხალხის დიდი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლისადმი, — უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების მხურვალე გრძნობით.

კარელია-ფინეთის მთელი ხალხი გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და სასიხარულოდ.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისაგან

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც 59 ქვეყნის 80 მილიონზე მეტ ქალს აერთიანებს, გისურვებს თქვენ, გენერალისიმუსო სტალინ, თქვენი სამოცდაათი წლისთავის დღეს ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დაისახა შემდეგი ამოცანები: იბრძოლოს ფაშიზმის წინააღმდეგ, ქალთა უფლებების გაფართოებისა და ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და, ბოლოს, მთელი ძალებით მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიისა და მშვიდობის დაცვაში.

ამ მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ყველაზე საიმედო ბურჯი ხართ თქვენ, გენერალისიმუსო სტალინ, თქვენ, რომელიც მშენებლობის უმაგალითო აღმავლობას ხელმძღვანელობთ დიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, სადაც ხალხები ცხოვრობენ მშვიდობით, სრული თანასწორობის პირობებში, სადაც სამუდამოდ მოსპობილია ყოველგვარი სოციალური უსამართლობა, სადაც ქალები ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც მამაკაცები, და სადაც ასეთი სიყვარულითა და ყურადღებით ზრუნავენ ბავშვებისათვის.

დიდი საბჭოთა კავშირი, რომელმაც თქვენ, გენერალისიმუსო სტალინ, ხელმძღვანელობით იხსნა ხალხები ჰიტლერული ფაშიზმისაგან, ახლა მეთაურობს მშვიდობის დამცველებს.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია გამოთქვამს თქვენდამი დიდ აღტაცებას და უღრმეს მადლობას თქვენ მიერ განხორციელებული საქმისათვის. იგი გამოთქვამს სურვილს — დამსახურებული წარმატებით დაგვირგვინებულიყოს ეს დიადი და მშვენიერი საქმე. პირადად თქვენ, გენერალისიმუსო სტალინ, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე
ეჟენი კოტონი

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისაგან

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია გამოთქვამს სიყვარულს, აღტაცებასა და პატივისცემას, რომლებითაც მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა დემოკრატები გამსჭვალული არიან ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის პირველი მებრძოლისადმი.

თქვენი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, დიადი შრომის მეოხებით შეიქმნა ახალი საზოგადოება, სადაც აღარ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია; სადაც ადამიანის განკარგულებაშია ბუნებისა და მეცნიერების მთელი სიმდიდრე; სადაც შესანიშნავი პერსპექტივებია გადაშლილი ყველას წინაშე, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წინაშე, რომელიც თავისი შრომითი აღმავლობის მეოხებით მტკიცედ დაადგა უფრო ნათელი მომავლის გზას.

თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით გამარჯვებას მიაღწიეს გმირმა საბჭოთა მებრძოლებმა, რომლებმაც ყველაზე უფრო მეტად შეუწყეს ხელი ჰიტლერული ტირანიისაგან მსოფლიოს განთავისუფლებას. თქვენ მუდამ უჩვენებდით ხალხებს ყველაზე სწორ გზას, რათა განემტკიცებინათ ფრონტი მშვიდობის მომხრეებს, რომლებსაც დღეს უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, გადაწყვეტილი აქვთ ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ცდები.

თქვენი ცხოვრება, რომელიც მთლიანად მიძღვნილია კაცობრიობის ბედნიერების უზრუნველყოფისათვის ბრძოლისადმი, სიმბოლურად გამოხატავს მშრომელთა მიერ მოპოვებულ ისტორიაში უმაგალითო გამარჯვებას; იგი აგრეთვე შესანიშნავი მაგალითია ყველა ახალგაზრდა დემოკრატისათვის, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში პოულობენ ძვირფას მითითებებს, რათა გააძლიერონ თავიანთი ყოველდღიური ბრძოლა მშვიდობისათვის, უკეთესი მომავლის მოპოვებისათვის.

აი ამიტომ არა მარტო 60 მილიონ ახალგაზრდას, რომელიც დემოკრატიაში შედის, არამედ ყველა ქვეყნის თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდობას დღეს სურს გამოთქვას თქვენდამი თავისი მადლობა, ვინაიდან ისინი თქვენი სახით ხედავენ დემოკრატიისა და ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის მამაც დამცველს. საბჭოთა ახალგაზრდობის დიადი მაგალითით შთაგონებული მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა დემოკრატები კვლავაც დაუღალავად ემსახურებიან მშვიდობის საქმეს, გააძლიერებენ ბრძოლას ომის პროვოკატორთა წინააღმდეგ, განუწყვეტლივ ამხილებენ მათს აგენტებს, ახალგაზრდობის მოძრაობის გამთიშველებს, სულ უფრო განამტკიცებენ ახალგაზრდობის მსოფლიო ერთიანობას ომის ყველა გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც სურთ ახალ ხოცვა-ჟლეტაში მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შესწირონ თავიანთ საზიზღარ ინტერესებს.

გისურვებთ მრავალ წელს სიცოცხლეს ყველა მშრომელთა და განსაკუთრებით მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის საბედნიეროდ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის
სამდივნოს სახელით ზი დე ბუასონი
ბეკარა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს გთხოვთ მიიღოთ პოლონელი ხალხისა და პირადად ჩემი უმხურვალესი ძმური სალამი.

პოლონელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით საბჭოთა არმიამ განდევნა ჰიტლერელი ფაშისტები ჩვენი ქვეყნიდან და მას თავისუფლება მოუტანა.

პოლონელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ აღორძინებულმა პოლონეთის სახელმწიფომ შორსმჭვრეტელი სტალინური პოლიტიკის მეოხებით მტკიცე და სასიცოცხლო საზღვრები მოიპოვა ოდერზე, ნეისაზე და ბალტიის ზღვაზე. პოლონელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს გადამწყვეტ როლს ჩვენს ხალხებს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობისაკენ ისტორიულ მობრუნებაში. პოლონელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს ბრძოლას ომის ბოლოს, ჩვენ ერთად ვიბრძოლეთ ერთ ფრონტზე, ერთ ბანაკში, ერთ ოჯახში. ეს ბრძოლა ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელია ჩვენ ხალხებს შორის ურთიერთდახმარებისა.

ამ ომში ჩვენ ერთად ვებრძოლეთ ფაშისტურ ბარბაროსობას, ერთად ვიმარჯვეთ, ერთად ავაშენეთ ახალი ცხოვრება ჩვენ ქვეყნებ

მისალმებანი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენი დაბადების სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის დღეს მთელი მონღოლი ხალხის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის და პირადად ჩემი სახელით გულითად სალამს გიძღვნით, მთელი მსოფლიოს შრომელთა დიდო ბელადო და მასწავლებელო, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი საქმის გენიალურო განმგრძობო, და გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობასა და მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს.

მთელი თქვენი ნათელი, მშვენიერი ცხოვრება, მთელი თქვენი მოღვაწეობა თქვენ მოახმარეთ მთელი მსოფლიოს შრომელთა საქმისათვის გმირულ ბრძოლას.

დიდ ლენინთან ერთად თქვენ შექმენით და გამოზარდეთ გმირული ბოლშევიკური პარტია, შეაიარაღეთ იგი მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე თეორიით და მიგიყავთ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

დიდ ლენინთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის სათავეში, თქვენ შექმენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმისაკენ.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიადი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი აღმფრთოვანებელი მაგალითია ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის, მთელი მსოფლიოს შრომელთათვის.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის დიდი მებრძოლის სახელი, მტკიცე და განგრძლივი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა ხალხთა ბრძოლის დროშაა.

დიდ ლენინთან ერთად თქვენ უჩვენეთ მონღოლ ხალხს ერთად-ერთი სწორი გზა — არაკაპიტალისტური განვითარების გზა. დაადგა რა ამ გზას, მონღოლი ხალხი, საბჭოთა ხალხის ძმური და უანგარო დახმარებით, წარმატებით წყვეტს 1921 წლის ჩვენი სახალხო რევოლუციის უძნელეს ამოცანას — ძოვავლსაუკუნოვახი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანას.

მონღოლი ხალხის განვითარებისა და აყვავებისათვის, ახალი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის თქვენი დაუღალავი და მუდმივი ზრუნვის ძეოხებით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში. ეს წარმატებანი წარმოადგენენ ბრძნული ლენინურ-სტალინური საცეონალური პოლიტიკის ზეიმს, საბჭოთა და მონღოლი ხალხების ურღვევი ძეგობრობის ზეიმს, მონღოლეთის გაგვითარების გზების შესახებ თქვენი მოძღვრების ზეიმს.

ამ სასიხარულო დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს თქვენი დაბადების სახელოვანი სამოცდაათი წლისთავს, მთელი მონღოლი ხალხი კვლავ და კვლავ გიძღვნით უდიდეს ძადლობასა და უსაზღვრო სიყვარულს.

ამ მხურვალე გრძნობების მკაფიო გამოხატულებაა მონღოლი ხალხის წერილი თქვენდამი, ყველა მშრომელთა დიდი ბელადისადმი, ჩვენი საუკეთესო მეგობრისადმი. თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავისათვის ამ წერილის მომზადება და ხელმოწერა გადაიქცა თქვენდამი, ჩვენო საყვარელო და შობლიურო ამხანაგო სტალინ, მთელი მონღოლი ხალხის დიდი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების სახალხო დემონსტრაციად.

მადლიერი მონღოლი ხალხი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და პირადად მე გისურვებთ, ამხანაგო სტალინ, მრავალ წელს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ძალღონეს მთელი მსოფლიოს შრომელთა საკეთილდღეოდ და სასიხარულოდ, მომავალ თაობათა საბედნიეროდ, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
მარშალი ხ. ჩოიბალსანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

პოლონეთის მთავრობის სახელით და პირადად ჩემგან გთხოვთ მიიღოთ უაღრესად მხურვალე სურვილები თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო.

თქვენი დიდი სახელი განუყრელად დაკავშირებულია პოლონელი ხალხის ისტორიაში მის ორგზის განთავისუფლებასთან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად და ჰიტლერულ ფაშიზმზე სახელოვანი გამარჯვების შედეგად. თქვენი ხელმძღვანელობით განმათავისუფლებელი არმიის მიერ ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებამ საფუძველი ჩაუყარა ახალი სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის სახელმწიფოს აშენებას. საბჭოთა კავშირის მიერ გაწეულმა მეგობრულმა დახმარებამ შესაძლებლობა მისცა პოლონეთს წელში გამართულიყო, განტკიცებულიყო, მოეგვრიებინა იმპერიალისტების მიერ დამორჩილების ყველა ცდა და მტკიცედ დასდგომოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას.

ამიტომ პოლონელი ხალხის გულში და გონებაში ყველა ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია თქვენს დიდ სახელთან.

პირობას გაძლევთ, ჩვენო დიდო მეგობარო, განვამტკიცოთ პოლონეთი, როგორც მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ბანაკის ძლიერი რგოლი, ბანაკისა, რომელსაც თქვენ ასე გენიალურად მეთაურობთ.

პოლონეთის მთავრობა გიძღვნით მხურვალე, გულითად სალამს.

პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
იოსებ ცირანკევიჩი

ვარშავა, 1949 წლის 21 დეკემბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გაზონ გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო ნება მიბოძეთ გულწრფელი პატივისცემითა და მხურვალე იყვარულით მოგესალმოთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩემი სახელით. ჩვენი ხალხი ამ დღეს აღნიშნავს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად.

თქვენი ცხოვრების მშვენიერმა საქმეებმა შესაძლებლობა მისცა ჩვენს ქვეყანას გამხდარიყო დამოუკიდებელი, ხასდგომოდა განვითარების გზას, შეაძლებლობა მისცა ჩვენს ხალხს იცოცხოროს თავისუფლად უფრო და უფრო ბედნიერი კეთილდღეობით. თქვენი მაგალითი აღგვაფრთოვანებს ჩვენი სახალხო რესპუბლიკის დაცვისა და შემდგომი მშენებლობისათვის, იმპერიალისტთა და მათ თანამონაწილეთა ყველა იერიშის მიუხედავად, და ამით განამტკიცებს მშვიდობის ფრონტს, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით იბრძვის მშვიდობისათვის.

თქვენი დაბადების დღეს ჩვენ უფრო ღრმად ვგრძნობთ თქვენი მეგობრობის მნიშვნელობას უნგრეთის სახალხო დემოკრატიისათვის, რომელიც სოციალიზმის გზით მიდის. მხურვალე სიყვარულით ვისურვებთ, რომ უნგრელი ხალხის დიდ მეგობარს, მთელი მსოფლიოს შრომელთა იმედს, კიდევ მრავალ წელს მიჰყავდეს ხალხები გამარჯვებისაკენ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
იშტვან დობი

დარბაზობა პეკინში ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო

პეკინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის გამო ჩინეთის სხვადასხვა დემოკრატიულმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პეკინში მოაწყეს დარბაზობა, რომელსაც 600-ზე მეტი კაცი დაესწრო.

დარბაზობას დაესწრნენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი ჯუ დე, მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლიუ შაო-ცი, მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭოს გენერალური მდივანი ლინ პო-ძიუი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, მთავრობის წევრები, თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწეები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები და პოლონეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული.

დარბაზობის დამსწრეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

დარბაზობამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). 21 დეკემბერს საღამოს ნიუ-იორკში „უოლსტერ ოლში" შედგა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრებას დაესწრო ათასზე მეტი კაცი. დამსწრეთა შორის იყვნენ კომპარტიის ლიდერები დენისი, უინტერი, ვილიამსონი, სტომპსონი, გრინი, ჰეიტსი და სხვები. კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის მდივანმა ორგანიზაციულ საკითხებში ჰენრი უინსტონმა.

ᲘᲑᲘᲠᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენ დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო ბატონო თავმჯდომარევ!

თქვენი აღმატებულების დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პატივი მაქვს ჩემი მხურვალე და გულწრფელი ძოლოცვა გიძღვნათ და თქვენს აღმატებულებას ვუსურვო ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი

1949 წლის 19 დეკემბერი.
ქ. პეკინი.

გენერალისიმუს სტალინს

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო გისურვებთ ჯანმრთელობას პირადად თქვენ და აყვავებას საბჭოთა კავშირის ხალხებს, აგრეთვე მშვიდობას, რომელსაც მოელიან კეთილი ნების ადამიანები.

ჟულრუ ბიდო

პარიზი,
1949 წლის 22 დეკემბერი.

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მიიღეთ, ბატონო გენერალისიმუსო, თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, გულითადი მოლოცვისა და სურვილების გამოხატულება.

პირადად მე და ფინელი ხალხი აღსავსენი ვართ თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობის სიდიადის შეგნებით, აგრეთვე ღრმა მადლობის გრძნობით ფინეთისადმი თქვენი კეთილმოსურნეობისათვის.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სრული წარმატებით დაგვირგვინდება ჩვენი ერთობლივი ღონისძიებანი — განვამტკიცოთ მეგობრული, ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობა მძლავრ საბჭოთა კავშირსა, რომელსაც თქვენ ბრძნულად ხელმძღვანელობთ, და ფინეთს შორის.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ი. კ. პაასიკივი

ჰელსინკი,
1949 წლის 20 დეკემბერი.

გენერალისიმუს ი.ბ. სტალინს

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღესასწაული სასურველ საბაბს მაძლევს მოგილოცოთ, ბატონო გენერალისიმუსო, დიდი წარმატებანი თქვენს ნაყოფიერ ცხოვრებაში და გისურვოთ ჯანმრთელობა მომავლისათვის.

პრეზიდენტი დოქტორი
კარლ რენერი

ავსტრია, ვენა
1949 წლის 20 დეკემბერი

მის აღმაგებულებას ა. ი. ვიშინსკის საგარეო საქმეთა მინისტრს მოსკოვი

ჩემო ძვირფასო ბ-ნო მინისტრო!

პატივი მაქვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით გთხოვოთ გადასცეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს სტალინს საუკეთესო სურვილები მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო.

გულწრფელად თქვენი
ალან კერკი

მოსკოვი, სსრ კავშირი
1949 წლის 21 დეკემბერი

საფრანგეთის მშრომელები აღნიშნავენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მშრომელები კვლავ აღნიშნავენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს. გუშინ ორლეანში შედგა მშრომელთა მასობრივი კრება, რომელზეც ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფერნან გრენიემ. კრების დასასრულს მისი 200 მონაწილე შევიდა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოებაში.

ქალაქ სოტვილ-ლე რუანის (ქვემო სენის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ დაადგინა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს სტალინის ქუჩა.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები პარიზში შედგა ქარხნებში „ლენკანსა" და „სნეკმა-კელერმანში" და სხვა ადგილებში.

23 დეკემბერს საღამოს პარიზში „მიუტუალიტეს" დარბაზში შედგა საფრანგეთში მყოფ ესპანელ რესპუბლიკელთა საზეიმო კრება, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი. კრებაზე მოხსენება გააკეთა ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ვისენტე ურიბემ.

შემოქმედებითი მარქსიზმის შესანიშნავი ნიმუში

ოცი წლის წინათ, 1929 წლის 27 დეკემბერს, ამხანაგი სტალინი აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში". ამ გამოსვლამ რევოლუციური თეორიის ბრწყინვალე შუქით გაანათა საკოლმეურნეო წყობილების მომავალი, რომელიც მაშინ გზას იკაფავდა სსრ კავშირში დარჩენილი უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკებისა და მისი დამქაშების გაფთრებული წინააღმდეგობის ვითარებაში.

სოციალიზმის გზაზე წვრილი გლეხური მეურნეობის გადაყვანა მომზადებული იყო პარტიისა და ხელისუფლების უდიდესი წინასწარი მუშაობით. უმნიშვნელოვანესი საქმე იყო ამ მხრივ თვით ოქტომბრის რევოლუციის პროცესში გატარებული ღონისძიება — მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, მიწის გამოცხადება პროლეტარული სახელმწიფოს საკუთრებად (მიწის ნაციონალიზაცია). ეს ისეთი ღონისძიება იყო, „რომელიც ათავისუფლებს წვრილ გლეხს მონური ერთგულებისაგან თავისი მიწის პაწაწა ნაკვეთისადმი და ამით აადვილებს გადასვლას **წვრილი** გლეხური მეურნეობიდან **მსხვილ,** კოლექტიურ მეურნეობაზე" (ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 353). მიწის ნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო მილიონობით გლეხთა მომზადებას კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე მიწის საზოგადოებრივი შრომით დამშუშავებელი ამხანაგობებისა და სანიმუშო კოლმეურნეობების ორგანიზაცია, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ეხმარებოდა, საბჭოთა მეურნეობების შექმნა და ამ უკანასკნელთა მიერ გაწეული დახმარება სოფლისადმი. ამ ღონისძიებათა გაელენით მილიონობით გლეხები რწმუნდებოდნენ მეურნეობის კოლექტიური წარმოების უპირატესობაში. მაგრამ მარტო ეს ღონისძიებანი როდი იყო საკმარისი. წვრილი გლეხური მეურნეობების კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნისათვის საჭირო იყო მატერიალური ბაზის შექმნა, სოციალისტური ინდუსტრიის და პირველ რიგში ისეთ საწარმოთა შექმნა, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის მასობრივი მასშტაბით მოგვცემდნენ ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს. ჩვენმა პარტიამ სწორედ ამ მიმართულებით გადაიტანა თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

პარტია, ამხანაგი სტალინი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას ამზადებდნენ ლენინის „კოოპერაციული გეგმის შესაბამისად; წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირებით ჯერ **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქტების **მიმოქცევის** (გასაღების) სფეროში, ხოლო შემდეგ, როცა პირობები მომწიფდებოდა — **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქტების თვით **წარმოების** დარგში. ემზადებოდა რა ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადასაჭრელად, საბჭოთა ხელისუფლება ეხმარებოდა გლეხებს მაღალხარისხოვანი თესლით, მსხვილ მემამულეთა კონფისკებული იარაღ-მანქანებით და იმ იარაღ-მანქანებით, რომელთა მოცემა ინდუსტრიალიზაციის სტალინური კურსის შედეგად უკვე იწყო ჩვენმა მრეწველობამ, აწყობდა ამ იარაღ-მანქანების გასაქირავებელ პუნქტებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, გზავნიდა სოფლად სატრაქტორო კოლონებს. პარტია და ხელისუფლება ატარებდნენ „მასების აღზრდის ლენინურ პოლიტიკას, თანმიმდევრობით მიჰყავდათ რა გლეხთა მასები კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვის საშუალებით კოლმეურნეობებისაკენ" (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 338).

1927 წლიდან მზადება წვრილი გლეხური მეურნეობის კოლმეურნეობებად გარდაქმნისათვის ახალ ეტაპზე შევიდა. პარტიის XV ყრილობამ (1927 წ. დეკემბერი) მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივ გაშლის შესახებ. ყრილობამ დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქსელის ყოველმხრივ გაფართოებისა და განმტკიცების გეგმა და მოგვცა ზუსტი მითითებანი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის საშუალებათა შესახებ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ტარდებოდა კულაკობასთან აშკარა გაფთრებული ბრძოლის ვითარებაში. კულაკობა, გრძნობდა რა თავისი აღსასრულის მოახლოებას, ყველა საშუალებით ცდილობდა ჩაეშალა საკოლმეურნეო მშენებლობა, ძალადობით, დაშინებით, მუქარით თავის გავლენაში მოექცია გლეხობა. ეს იყო ძძაფრი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაბადების პროცესში მყოფ სოციალისტურ სოფელსა და ისტორიისაგან განწირულ უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასს — კულაკობას შორის. ეს ბრძოლა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით გლეხობის ფართო მასამ — ღარიბმა და საშუალო გლეხობამ მოიგო. 1929 წელს გლეხობა მასობრივად დაიძრა კოლმეურნეობებისაკენ. გლეხები შევიდნენ კოლმეურნეობებში მთელი სოფლობით, თემობით, რაიონობით.

მთელი ჩვენი ქვეყანა ხედავდა ბოლშევიკების სწორი პოლიტიკის ნაყოფს. სოფელი სახეს იცვლიდა. წვრილი, დაქუცმაცებული, ჩამორჩენილი, რუტინული ტექნიკით ილაჯგაწყვეტილი სოფლის მეურნეობა ადგილს უთმობდა მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰქონდა მაღალი ტექნიკა და ყველა საშუალება უხვი მოსავლის მიღებისათვის, მოწინავე აგროტექნიკური მეცნიერების გამოყენებისათვის.

ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო მშენებლობის სტალინური პოლიტიკის გამარჯვებამ წარმოშვა ახლებური მიდგომა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემებისადმი. „ახლებურად ისმება ახლა საკითხი, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე,—ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, კლასების შესახებ, მშენებლობის ტემპის შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, პარტიის პოლიტიკის შესახებ. პრაქტიკას რომ არ ჰამორჩენ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ პრობლემის დამუშავებას ახალი ვითარების თვალსაზრისით" (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 347).

ახალი ვითარების თვალსაზრისით ამ პრობლემების გენიალური დამუშავება მოგვცა ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში". ამ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე სოციალიზმის ეკონომიური თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიმუში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში და ამჟამად უდიდეს როლს ასრულებს სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში, სოციალიზმის გზით საბალხო დემოკრატიის ქვეყნების წინსვლაში.

საკოლმეურნეო მოძრაობის წინსვლას, სოციალიზმის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლას მაშინ ხელს უშლიდნენ ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრები და მათი მიმდევრები არა მარტო თავიანთი გაფთრებული ბრძოლით საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ, სოფლად გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლაში კულაკობის აშკარა დაცვით, არამედ თავიანთი კულაკური, კონტრრევოლუციური თეორიებითაც, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სახელი გაეტეხათ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის, ჩაენერგათ მუშათა კლასში და გლეხობაში სოციალიზმის გამარჯვებისადმი რწმენის უქონლობა. ასეთი თეორიები იყო: ბურუჟუაზიულ-ოპორტუნისტული თეორიები სახალხო მეურნეობის სექტორების „წონასწორობისა", სოციალისტური მშენებლობის „თვითდინებით" განვითარებისა, წვრილი გლეხური მეურნეობის „სიმტკიცისა", ქალაქისა და სოფლის „გადაულახავი" წინააღმდეგობისა და სხვ. საკოლმეურნეო მშენებლობის ინტერესები მოითხოვდნენ ამ ცრუმეცნიერულ გამონაგონთა დამსხვრევას. საჭირო იყო თეორიულ ფრონტზეც გაგვენადგურებინა ხალხის უბოროტესი მტრები. ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა ამხანაგმა სტალინმა თავის ზემოაღნიშნულ სიტყვაში. ამხანაგმა სტალინმა ულმობელი რკინისებური ლოგიკით გაანადგურა სოციალიზმის მტრების ყველა „საბუთი" და შეაიარაღა ჩვენი პარტია, მუშათა კლასი და გლეხობა ახალ პირობებში ბრძოლის ბასრი თეორიული იარაღით.

აღნიშნულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა აღადგინა და შემდგომ განავითარა მარქსიზმის დებულებანი მსხვილი მეურნეობის იმ უპირატესობათა შესახებ, რომელთაც განზრახ ამახინჯებდნენ ბურუჟუაზიული და „მარქსიზმის" სამოსელში გამოწყობილი ვაი-თეორეტიკოსები. რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ სოციალისტური საზოგადოება არ შეიძლება ვითარდებოდეს და წინ მიდიოდეს, თუ არ ხდება დაგროვება მთელ სახალხო მეურნეობაში გაფართოებული რეპროდუქციის ბაზაზე. ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა, რომ შეუძლებელია სოციალისტური მრეწველობის წინსვლა, თუ მას ბაზად ექნება ჩამორჩენილი წვრილი გლეხური სოფლის მეურნეობა, რომელიც მარტივი და შევიწროებული რეპროდუქციის საფუძველზე ვითარდება. ასეთი უთანაბრობა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებს შორის ბოლოს და ბოლოს გამოიწვევდა მთელი სახალხო მეურნეობის მოშლას. ეს დამღუპველი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

„მაშ სად არის გამოსავალი? გამოსავალი იმაშია, — ამობდა ამხანაგი სტალინი,—რომ გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა, მივცეთ მას დაგროვების, გაფართოებული რეპროდუქციის უნარი და ამრიგად გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ბაზა" (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 349-350).

სოფლად კოლმეურნეობათა გამარჯვებით სოფლის მეურნეობას მიეცა გაფართოებული რეპროდუქციის უნარი. მაღალმა ტექნიკამ, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლებამ კოლმეურნეობები აღჭურვა, მეცნიერული აგროტექნიკის დანერგვამ, გლეხთა შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ განვითარებამ, რაც მხოლოდ კოლმეურნეობათა ნიადაგზე გახდა შესაძლებელი, გიგანტური მასშტაბით გაზარდა სოფლის მეურნეობის შემოსავალი, წინ წასწია მთელი სახალხო მეურნეობა, აამაღლა გლეხთა ცხოვრების მატერიალური დონე. მხოლოდ კოლმეურნეობათა ნიადაგზე შეიძლებოდა მოეცა ჩვენს სოფლის მეურნეობას 1937 წელს 7 მილიარდ 300 მილიონი ფუთი პური, 3 მილიარდ 800 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1913 წელს მეფის რუსეთმა მიიღო თავისი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობისაგან. გაფართოებული რეპროდუქციის უნარი, რომელიც ჩვენს სოფლის მეურნეობას სოციალიზმის რელსებზე გადასვლით მიეცა, განსაცვიფრებელ შედეგებს იძლეოდა 1938, 1939 და 1940 წლებში, ხოლო დიდი სამამულო ომის წლებში იგი გახდა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ომის დამთავრების შემდეგ. იმ დროს, როცა ომში მონაწილე არც ერთ ქვეყანას ომამდელი ღონისათვის არ მიუღწევია, ხოლო ეგრეთ წოდებული „მარშალიზებული" ქვეყნები უფრო მეტად ჩამორჩნენ ამ დონეს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობამ, ისე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა, მოკლე დროში მიაღწია ომამდელ დონეს და ამჟამად შემდგომი წინსვლის გრანდიოზულ გეგმას ასრულებს.

სიტყვაში „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში" ამხანაგმა სტალინმა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი ნაბიჯების გამოცდილების საფუძველზე მოგვცა კოლმეურნეობების, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმის, ბუნების ღრმა მარქსისტული ანალიზი. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო კოლმეურნეობების როგორც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ორგანიზაციული ფორმის უდიდესი მნიშვნელობა და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო არტელი განსაზღვრა, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლი.

დაამსხვრია რა ანტილენინური ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ კოლმეურნეობების წინსვლას, ამხანაგმა სტალინმა პარტია შეაიარაღა იმ სიძნელეებთან საბრძოლველად, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობას უნდა დაეძლია თავისი განვითარების გზაზე. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ კულაკის გატეხის შემდეგაც კოლმეურნეობებს მოუხდებათ წინააღმდეგობებთან ბრძოლა, მაგრამ ეს იქნებოდა თვით კოლმეურნეობათა ბაზაზე წარმოშობილი წინააღმდეგობანი, რომელთა დაძლევა უფრო იოლად შეიძლებოდა, ეს იქნებოდა ბრძოლა კოლმეურნეობის მოწინავე წევრებისა, რომლებიც აქტიურად და შეგნებულად აშენებდნენ კოლმეურნეობას, კოლმეურნეობის ჩამორჩენილ წევრებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ თავისუფალნი ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური გავლენისაგან და ცდილობდნენ თავიანთი პირადი სარგებლობისათვის შეეგუებინათ კოლმეურნეობანი, მეტი მიეღოთ, ნაკლები ემუშავათ.

ამხანაგ სტალინის მითითებამ უდიდესი როლი შეასრულა კოლმეურნეთა ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის გარდაქმნის საქმეში. ამჟამად ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა გლეხობა, რომელიც კოლმეურნეობებმა გარდაქმნეს, აღარ არის ჩვეულებრივი გლეხობა, „ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალ გლეხობას წარმოადგენს" (სტალინი), როგორიც კაცობრიობამ აქამდე არ იცოდა. საბჭოთა გლეხობა ახალი თვისების მატარებელი გლეხობაა, სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებელია, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი სოციალიზმს. მან მკერდით დაიცვა სოციალიზმის ქვეყანა გერმანელი ავაზაკების თავდასხმისაგან და მუშათა კლასთან, საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად თავდადებით იბრძვის სრული კომუნიზმისათვის.

* * *

აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე ამხანაგ სტალინის სიტყვაში დასახული მითითებანი საფუძვლად დაედო საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ წინსვლას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრულ გამარჯვებას სოფლად, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო. ამ რევოლუციური გადატრიალების შედეგად დამთავრდა სსრ კავშირში მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური საფუძვლის შექმნა. იგი გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ.

ამჟამად ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც 246 ათასზე მეტ კოლმეურნეობასა და 4.540 საბჭოთა მეურნეობას ითვლის, წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მსხვილ მექანიზებულ სოფლის მეურნეობას. იგი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილია უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობა. იგი თავისი მაგალითით შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზას უჩვენებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც უკვე დაადგნენ სოციალიზმის გზას. იგი ძალას მატებს და ბრძოლაში აღაფრთოვანებს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც ამირულად იბრძვიან კაპიტალიზმის ბორკილების დასამსხვრევად.

ვ. ლოგინოვი

საბრალდებო დასკვნა*)

ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება ჩინეთის წინააღმდეგ ომში

ემზადებოდნენ რა ბაქტერიოლოგიური ომისათვის დიდი მასშტაბით, იაპონელმა იმპერიალისტებმა უკვე 1940 წელს ნაწილობრივ იხმარეს ბაქტერიოლოგიური იარაღი ჩინეთის წინააღმდეგ მათ მიერ გაჩაღებული აგრესიული ომის მსვლელობაში.

1940 წლის ზაფხულში სპეციალური ბაქტერიოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობდა № 731 რაზმის უფროსი გენერალი ისიი, გაიგზავნა სამარი მოქმედების რაიონში—ცენტრალურ ჩინეთში. ნიმბოს რაიონში № 731 რაზმის თვითმფრინავებმა შავი ჭირით მოწამლეს მოწინააღმდეგის ტერიტორია შავი ჭირის რწყილების საშუალებით, რის შედეგადაც იქ ეპიდემია გაჩნდა.

ბრალდებულების კარასავის და ნისის ჩვენებათა გარდა ცენტრალურ ჩინეთში სამარი მოქმედების რაიონში სპეციალური ექსპედიციის გაგზავნის ფაქტი დასტურდება იაპონიის კვანტუნის არმიის არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტებით.

1941 წელს № 731 რაზმის ექსპედიცია გაიგზავნა ცენტრალურ ჩინეთში—ქალაქ ჩანდეს რაიონში. ამ ექსპედიციის დროს იაპონიის თვითმფრინავებმა მოწამლეს ტერიტორია შავი ჭირის რწყილებით. 1942 წელს ცენტრალურ ჩინეთში სამარი მოქმედების ერთ-ერთ უბანზე იაპონიის ჯარების უკანდახევის დროს № 731 რაზმმა მოაწყო კიდევ ერთი ექსპედიცია. ამ ოპერაციაში, როგორც მოწმე მისინა ტაკაიუკის—იაპონიის მე-13 არმიის შტაბის საინფორმაციო-სადაზვერვო განყოფილების ყოფილი უფროსის ჩვენებით დასტურდება, მონაწილეობდნენ აგრეთვე ბაქტერიოლოგიური რაზმის „ეის“ თანამშრომლები.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების აქტივიზაცია

1941 წელს, სსრ კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის შემდეგ, იაპონელმა მილიტარისტებმა, რომლებიც მოხერხებულ მომენტს ელოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყვნენ, ენერგიულად დაიჩქარეს ბაქტერიოლოგიური ომის საწარმოებლად შექმნილი ბაქტერიოლოგიური ზრახვების და მათი ფილიალების გაშლა და მომზადება მანჯურიაში.

„კან-ტოკუ-ენის“ ბეგმის შესაბამისად (ე. ი. სსრ კავშირზე თავდასხმისათვის იაპონიის კვანტუნის არმიის გაშლის ბეგმის შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 1941 წლის ზაფხულში), № 731 და № 100 რაზმებმა მოაწყეს ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა კადრების სპეციალური მომზადება ბაქტერიოლოგიური იარაღის ასათვისებლად და გამოსაყენებლად.

1942 წელს № 731 და № 100 რაზმებმა მოახდინეს საბჭოთა კავშირის საზღვრისპირა რაიონების სპეციალური დაზვერვა ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად. კიდევ უფრო ადრე № 100 რაზმი, იაპონიის კვანტუნის არმიის შტაბის მითითებით, სიტემატურად გზავნიდა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე ბაქტერიოლოგიურ ჯგუფებს, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე დივერსიული მიზნებით სწამლავდნენ საზღვრისპირა წყალსატევებს, კერძოდ სამი მდინარის რაიონში.

ეს ფაქტები დასტურდება ბრალდებულების ხარიზაკურას და მიტომოს, აგრეთვე მოწმე ესაკავას და სხვების ჩვენებით.

1944 წლის სექტემბერში ბაქტერიოლოგიური იარაღის ეფექტიანობის გამოსაცდელად № 731 რაზმის პოლიგონზე სადგურ ანდას რაიონში № 100 რაზმმა მოაწყო ეგრეთ წოდებული მანევრები კვანტუნის არმიის შტაბის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად № 731 და № 100 რაზმების და მათი ფილიალების განსაკუთრებით აქტიური საქმიანობის პერიოდი ეკუთვნის 1945 წელს. ბრალდებულმა ნისიმ ამის შესახებ აჩვენა: „...1945 წლის მაისში გენერალ **ისიისათვის** ჩემი პირადი მოხსენების დროს მან განსაკუთრებით მიმითითა, რომ გამეძლიერებინა მუშაობა ბაქტერიოლოგიური მასალის და პირველ რიგში შავი ჭირის მასალის წარმოებისათვის, ვინაიდან, მისი სიტყვით, ამბები ისე ვითარდებოდა, რომ ყოველდღე შეიძლებოდა წამოჭრილიყო მოწინააღმდეგეზე ბაქტერიოლოგიური თავდასხმის საჭიროება“ (ტ. 7, საქ. ფურც. 130).

ამ მითითებებთან დაკავშირებით № 731 რაზმის ყველა ფილიალმა გააძლიერა საქმიანობა თავგებისა და ვირთაგვების დასაჭერად და მოსაშენებლად, რომლებიც საჭირო იყო რწყილების გასაჩრაგვლებლად, რათა შემდეგში ისინი შავი ჭირით მოეწამლათ. ამ მიზნით როგორც ფილიალებში, ისე სამხედრო ნაწილებში იქმნებოდა სპეციალური რაზმები.

ამავე პერიოდში გაძლიერდა საქმიანობა ექსპერიმენტულ სამუშაოთა დარგში, მოხდა მოწყობილობის შეცვლა იმ მიზნით, რომ გაედიდებინათ საწარმოო სიმძლავრე და შეექმნათ ბაქტერიოლოგიური მასალების მარაგი.

იაპონიის კვანტუნის არმიის ყოფილმა მთავარსარდალმა გენერალმა **იამადამ**, რომელიც დაკითხულ იქნა მისდამი დაქვემდებარებული ბაქტერიოლოგიური რაზმების საწარმოო პოტენციალის შესახებ, აღიარა, რომ ეს სიმძლავრე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მარტო „№ 731 რაზმს აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლო იაპონიის არმია უზრუნველეყო თავისი იარაღით ბაქტერიოლოგიური ომის საწარმოებლად“ (ტ. 2., საქ. ფურც. 6).

* * *

საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩაშალეს იმპერიალისტური იაპონიის მბრძოლელი ხროვის დანაშაულებრივი ზრახვები ბაქტერიოლოგიური ომის გაჩაღების დარგში. შევიდნენ რა მანჯურიის ტერიტორიაზე, საბჭოთა ჯარებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მოწინააღმდეგეს, უმოკლეს ვადებში გაანადგურეს იაპონიის მთავარი სამხედრო ძალა—კვანტუნის არმია და აიძულეს იმპერიალისტური იაპონია უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა.

„...იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ და „საბჭოთა არმიის სწრაფმა წინსვლამ მანჯურიის სიღრმეში,—აჩვენა ბრალდებულმა **იამადამ**, — მოგვისპო შესაძლებლობა გამოგვეყენებინა ბაქტერიოლოგიური იარაღი სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ...“ (ტ. 18., საქ. ფურც. 133).

კაპიტულაციის წინადღეს, ჩადენილ ბოროტმოქმედებათა კვალის დასაფარავად, იაპონიის სარდლობამ მოსპო ბაქტერიოლოგიური რაზმებისა და მათი ფილიალების შენობა, მოწყობილობა და დოკუმენტები

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 254.

ბრალდებულთა პერსონალური პასუხისმგებლობა

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული თვითეული ბრალდებულის დანაშაულებრივი საქმიანობა კონკრეტულად გამოიხატებოდა შემდეგით:

1. **ოტოზოო იამადა**, 1944 წლიდან იაპონიის არმიის კაპიტულაციის დღემდე, როგორც იაპონიის კვანტუნის არმიის მთავარსარდალი, ხელმძღვანელობდა სპეციალური რაზმების № 731-სა და № 100-ის საქმიანობას ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად. ამ მხნის განმავლობაში იამადა პირადად და შტაბის პასუხისმგებელი ოფიცრების მეშვეობით ეწეოდა ამ რაზმების ინსპექტირებას. არაერთგზის ისმენდა რაზმების ხელმძღვანელთა მოხსენებებს და იღებდა ზომებს იმისათვის, რომ ეს რაზმები მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. პირადი დაკვირვებითა და ბაქტერიოლოგიური რაზმების სარდლობის მოხსენებებით ბრალდებული იამადა ცოცხალ ადამიანებზე წარმოებული დანაშაულებრივი ცდების კურსში იყო და აქეზებდა ამ ბოროტმოქმედებას. ამრიგად, იამადა პასუხისმგებელია ათასობით ადამიანთა მხეცურად მოკვლისათვის, რომლებიც დახოცეს მომაკვდინებელი ბაქტერიების მოწამვლის გზით.

2. **რიუძი კაძიცუკა**, რომელსაც 1939 წლიდან კვანტუნის არმიის სანიტარული სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა, უშუალოდ ხელმძღვანელობდა № 731 რაზმის მუშაობას, რომელიც ახორციელებდა ენერგიულ მზადებას ბაქტერიოლოგიური ომისათვის. **კაძიცუკა** იყო ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საშუალებათა გამონახვის ერთ-ერთი ინიციატორი. უკვე 1931 წელს **კაძიცუკა** აქტიურად უჭერდა მხარს ბაქტერიოლოგიური ომის ერთ-ერთ იდეოლოგს სირო **ისიის**, რომელიც მოითხოვდა სამხედრო მიზნებისათვის ბაქტერიოლოგიური იარაღის გამონახვის გაძლიერებას. 1934-36 წლებში ბრალდებული **კაძიცუკა**, რომელიც სათავეში ედგა იაპონიის სამხედრო სამინისტროს სანიტარული სამმართველოს განყოფილებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა № 731 რაზმის შექმნასა და სათანადო სპეციალისტებით დაკომპლექტებაში და, კერძოდ, ხელი შეუწყო სირო **ისიის** დანიშვნას № 731 რაზმის უფროსის თანამდებობაზე.

3. **ტაკაკაუ ტაკახასი**, რომელსაც 1941 წლიდან იაპონიის კაპიტულაციის დღემდე იაპონიის კვანტუნის არმიის ვეტერინარული სამსახურის უფროსის პოსტი ეკავა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა № 100 რაზმის მუშაობას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბაქტერიოლოგიური ომის მომზადებაში. ხელმძღვანელობდა რა № 100 რაზმის მუშაობას, ბრალდებული **ტაკახასი** განუწყვეტლივ ეწეოდა ბაქტერიოლოგიური იარაღის, როგორც ომის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალების, იდეის პროპაგანდას.

4. **კიოსი კავასიმა** 1941 წლიდან 1943 წლამდე იყო № 731 რაზმის საწარმოო განყოფილების უფროსი და აწყობდა ბაქტერიოლოგიური იარაღის მასობრივ წარმოებას. ბრალდებული **კავასიმა** პირად მონაწილეობას იღებდა მასობრივ დანაშაულებრივ „გამოკვლევებსა“ და „ცდებში“, რასაც რაზმი ცოცხალ ადამიანებზე აწყობდა. 1942 წელს ბრალდებული **კავასიმა** მონაწილეობას იღებდა ცენტრალურ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის საბრძოლო გამოყენებისათვის გაგზავნილი სპეციალური ექსპედიციის უზრუნველყოფაში საბრძოლო საშუალებებთ.

5. **ტოსიჰიდე ნისი**, რომელსაც 1943 წლის იანვრიდან 1945 წლამდე ქალაქ სუნიუში № 731 რაზმის № 673 ფილიალის უფროსის თანამდებობა ეკავა, ხელმძღვანელობდა ყველა სამუშაოს, რასაც მისი მეთაურობით მოქმედი ფილიალი ასრულებდა № 731 რაზმის უზრუნველსაყოფად ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებისათვის საჭირო მასალებით. 1944 წლის ივლისიდან ბრალდებული **ნისი**, რომელიც შეთავსებით იყო № 731 რაზმის ეგრეთ წოდებული სასწავლო-საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი, ხელმძღვანელობდა ბაქტერიოლოგიური ომის საწარმოებლად განკუთვნილ სპეციალურ ქვეგანყოფთა მომზადებას. ბრალდებული **ნისი** პირადად მონაწილეობდა ადამიანებზე წარმოებულ დანაშაულებრივ არაადამიანურ ცდებში. 1945 წელს, საბჭოთა ჯარების მიახლოების დროს, ბრალდებულმა **ნისიმ** თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის კვალის დასაფარავად დასწვა მთელი სასამსახურო შენობები და დოკუმენტები № 673 ფილიალისა, რომელსაც იგი მეთაურობდა.

6. **ტომიო კარასავა**, რომელსაც 1943 წლიდან 1945 წლამდე № 731 რაზმის საწარმოო განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა, ბაქტერიოლოგიური იარაღის მასობრივი წარმოების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი იყო. 1940-1942 წლებში ბრალდებულმა **კარასავამ** აქტიური მონაწილეობა მიიღო № 731 რაზმის იმ სპეციალური ექსპედიციის უზრუნველყოფაში ბაქტერიებით, რომლებიც ცენტრალურ ჩინეთში გაიგზავნა ბაქტერიოლოგიური იარაღის საბრძოლო გამოყენებისათვის. 1943-1944 წლებში ბრალდებული **კარასავა** უშუალო მონაწილეობას იღებდა პატიმრებზე მომაკვდინებელი ბაქტერიების გამოყენების დანაშაულებრივ ცდებში.

7. **მასაო ონოუე**, რომელსაც 1943 წლის ოქტომბრიდან 1945 წლამდე № 731 რაზმის № 643 ფილიალის უფროსის თანამდებობა ეკავა, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბაქტერიოლოგიური იარაღის ყველაზე ეფექტიან საბრძოლო სახეთა და მისი მასობრივად წარმოების საშუალებათა ყოველგვარ ძიებას. ბრალდებულ **ონოუეს** ხელმძღვანელობით ფილიალთან არსებული სასწავლო განყოფილება სისტემატურად ამზადებდა სპეციალურ კადრებს ბაქტერიოლოგიური ომის საწარმოებლად. 1945 წელს იმ მიზნით, რომ დაეფარა ჩადენილი დანაშაულობანი, რომლებიც დაკავშირებული იყო ბაქტერიოლოგიური ომის მომზადებასთან, ბრალდებულმა **ონოუემ** მოსპო ფილიალის მოწყობილობა და მთელი მისი დოკუმენტები.

8. **სიუნძი სატო** — 1941 წლიდან 1943 წლამდე იყო რაზმების „ნამისა“ და „ეის“ უფროსი, ხოლო 1944 წლიდან, როგორც იაპონიის კვანტუნის არმიის შემადგენლობაში შემავალი მე-5 არმიის სანიტარული სამსახურის უფროსი, ხელმძღვანელობდა № 731 რაზმის № 643 ფილიალის მუშაობას. ბრალდებული **სატო**, როცა სათავეში ედგა რაზმებს „ნამისა“ და „ეის“, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბაქტერიოლოგიური იარაღის ძიებასა და წარმოებაში. შემდეგში, ეკავა რა მე-5 არმიის სანიტარული სამსახურის უფროსის პოსტი, ბრალდებული **სატო** აქტიურად ეხმარებოდა და უჭერდა მხარს № 643 ფილიალს ბაქტერიოლოგიური მასალის წარმოების გადიდებაში და მე-5 არმიის ნაწილებს სპეციალური ბრძანება მისცა გაემრავლებინათ მღრღნელები ამ ფილიალისათვის.

9. **ძენსაკუ ხირაზაკურა** — 1942 წლის ივლისიდან იაპონიის კაპიტულაციამდე № 100 რაზმის თანამშრომელი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის განკუთვნილი ბაქტერიოლოგიური იარაღის ძიებასა და მასობრივ წარმოებაში. 1942-1944 წლებში ბრალდებულ **ხირაზაკურას**, როგორც № 100 რაზმის თანამშრომელთა სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფების მეთაურს, არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სპეციალურ დაზვერვაში იმ მიზნით, რომ გამოენახა სსრ კავშირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ყველაზე ეფექტიანი საშუალებანი. იმავე პერიოდში დივერსიული მიზნებით მას არაერთხელ მოუწამლავს წყალსატევები საბჭოთა კავშირის საზღვარზე, კერძოდ სამი მდინარის რაიონში.

10. **კაძუო მიტომი** — 1941 წლის აპრილიდან 1944 წლამდე იყო № 100 რაზმის თანამშრომელი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მომაკვდინებელი ბაქტერიების დამზადებაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომის საწარმოებლად და დივერსიების განსახორციელებლად. **მიტომი** პირად მონაწილეობას იღებდა იმ პატიმართა წამებით მოკვლაში, რომლებზეც სცდიდნენ ბაქტერიოლოგიური იარაღის ცალკეული სახეების მოქმედებას. 1942 წლის ივლის-აგვისტოში ბრალდებული **მიტომი** № 100 რაზმის თანამშრომელთა სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამი მდინარის რაიონში მოწყობილ დივერსიულ ოპერაციებში.

11. **ნორიმიცუ კიკუჩი** — 1943 წლის აპრილიდან 1945 წლის აგვისტომდე რიგით ჯარისკაცად მსახურობდა № 731 რაზმის № 643 ფილიალში. 1944 წლის თებერვლიდან 1945 წლის თებერვლამდე **კიკუჩი** იყო ამ ფილიალის 1-ლი განყოფილების ლაბორანტი და ხელს უწყობდა ბაქტერიოლოგიური იარაღის ძიებას, მუშაობდა რა მუცლის ტიფისა და დიზენტერიის ბაქტერიების მოშენებაზე. **კიკუჩიმ** 1945 წლის ივნისში გაიარა ხელახალი სწავლება № 731 რაზმთან არსებულ ბაქტერიოლოგიურ კურსებზე, სადაც ამზადებდნენ კადრებს ბაქტერიოლოგიური ომის საწარმოებლად.

12. **იუძი კურუსიმა** — 1944 წლის ოქტომბერში სპეციალური მომზადების მიღების შემდეგ მსახურობდა № 731 რაზმის № 162 ფილიალში და როგორც ფილიალის 1-ლი განყოფილების სანიტარ-ლაბორანტი მონაწილეობას იღებდა ხოლერის, ტიფის და სხვა ბაქტერიების მოშენებაში. **კურუსიმამ** აღიარა, რომ მან იცოდა, რომ № 731 რაზმი ბაქტერიოლოგიური ომისათვის ემზადებოდა და ბაქტერიოლოგიურ იარაღს ამზადებდა.

პასუხისგებაში მიცემულებმა: ოტოზოო იამადამ, ტაკაკუ ტაკახასიმ, ტომიო კარასავამ, კიოსი კავასიმამ, მასაო ონოუემ, ტოსიხიდე ნისიმ, ძენსაკუ ხირაზაკურამ, სიუნძი **სატომ, კაძუო მიტომომ**, ნორიმიცუ **კიკუჩიმ** და **იუძი კურუსიმამ** თავი სავსებით დამნაშავედ სცნეს მათთვის წაყენებულ ბრალდებაში.

ბრალდებულმა **რიუძი კაძიცუკამ** თავი ნაწილობრივ სცნო დანაშაულად.

პირადი აღიარების გარდა ყველა ბრალდებულის დამნაშავეობა ამ საქმეში გამორკვეულია მოწმეთა მრავალრიცხოვანი ჩვენებით, დოკუმენტალური დამამტკიცებელი საბუთებითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.

ყველა ბრალდებულს გაასამართლებს სამხედრო ტრიბუნალი.

ზღვისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი იუსტიციის პოლკოვნიკი

ა. ბერიოზოვსკი.

ვროცლავის რაიონული სამხედრო სასამართლოს განაჩენი პოლონეთში საფრანგეთის დაზვერვის აგენტთა საქმის გამო

ვარშავა, 24 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ვროცლავის რაიონულმა სამხედრო სასამართლომ 23 დეკემბერს განაჩენი გამოიტანა საფრანგეთის დაზვერვის აგენტთა საქმის გამო, რომელთა პროცესი ექვს დღეს გრძელდებოდა.

სასამართლომ საფრანგეთის მოქალაქე ივონა ბასელერი დამნაშავედ ცნო ჯაშუშობასა და იარაღის უკანონოდ შენახვაში და მიუსაჯა მას 9 წლის პატიმრობა.

საფრანგეთის მოქალაქეს ვასილ ბუკისოვს ჯაშუშობისა, საბოტაჟის აქტების მომზადებისა და ყალბი ხმების გავრცელებისთვის, რომელებსაც შეეძლოთ არსებითი ზიანი მიეყენებინათ პოლონეთის სახელმწიფოსათვის, მიესაჯა 9 წლის პატიმრობა.

პოლონეთის მოქალაქეს იან კუბისიაკს, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ ჯაშუშობაში, იარაღის უკანონოდ შენახვაში და იმაში, რომ იგი უცხოეთის მთავრობის სასარგებლოდ მოქმედი პირისაგან გასამრჯელოს იღებდა პოლონეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედებისათვის, აგრეთვე ცნობილ იქნა დამნაშავედ იმ ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევაში, რომლის მიზანი იყო დაემხო დემოკრატიული წყობილება პოლონეთის სახელმწიფოში, მიესაჯა 9 წლის პატიმრობა.

საფრანგეთის მოქალაქეებს იოსებ ფელდეიზენს და ალბერტ ჰოფმანს ჯაშუშობისა და საბოტაჟის აქტების მომზადებისათვის მიესაჯათ: პირველს — 8 წლის, ხოლო მეორეს 7 წლის პატიმრობა.

გერმანიის მოქალაქეს ვილჰელმ ჰილდს, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ ჯაშუშობაში, მაგრამ უდანაშაულოდ — საბოტაჟის აქტების მომზადებაში, მიესაჯა 6 წლის პატიმრობა.

სასამართლოს განაჩენის დასაბუთებაში ნათქვამია, რომ პოლონეთის საბჭოთა ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ფართოდ განშტოებული ჯაშუშური ქსელი საფრანგეთის დაზვერვისა, რომლის ამოცანა იყო სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა, აგრეთვე დივერსიებისა და საბოტაჟის მოწყობა. ამ ქსელის ორგანიზატორები იყვნენ მაიორი იუმი, ეიმარ დე ბროსენ დე მერე, ბუატი და ბრალდებული ბასელერი და სხვები.

შემდეგ დასაბუთებაში დაწვრილებით არის ლაპარაკი საფრანგეთის დაზვერვის წარმომადგენელთა მიერ პოლონეთში ჯაშუშური ქსელის მოწყობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა საწარმოები და სამხედრო ობიექტები აინტერესებდა დაზვერვას. დაწვრილებით არის ლაპარაკი დაზვერვის ვროცლავის სექტორის, კერძოდ ამ სექტორის ხელმძღვანელს—ბრალდებულ ბასელერის, აგრეთვე დანარჩენ ბრალდებულთა მეშაობის შესახებ.

ბერძენ მონარქისტთა მხეცობა კუნძულ მიკრონისოსზე

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ დღეს გამოაქვეყნა წერილი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მონარქისტ ფაშისტებმა კუნძულ მიკრონისოსზე საშინლად აწამეს თვალსაჩინო ბერძენი მწერალი ფოტიადესი, რომელიც ომის დროს სათავეში ედგა საბერძნეთის ერთიანობის კომიტეტს ლონდონში. ამისათვის, რომ ფოტიადესმა უარი თქვა ხელი მოეწერა კომუნისტების დამგმობი პროვოკაციული განცხადებისათვის, რასაც მას თავს ახვევდა ოხრანკა, მას ზურგზე მოჰკიდეს ქვებიანი ტომარა, რომლის წონა 130 გირვანქა იყო, და ამ ტომრიანად მთელ დღეს არბენინეს. როცა ფოტიადესს ძალა გამოელია, იგი თითქმის სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ბამბუკის ჯოხების ცემით. ამ ესე აწამეს სხვა პატიმრებიც, რომლებმაც უარი თქვეს ხელი მოეწერათ ასეთი განცხადებებისათვის.

„მონარქისტული არმიის ხუთი ჯარისკაცი, რომლებმაც ეს საშინელი სცენები ნახეს, — ნათქვამია წერილში, — ჭკუაზე შეიშალა. 73 წლის პატიმარმა ნიკიტიდისმა „თავი მოიკლა“. ოთხი დანარჩენი პატიმარი მოჰკლეს. ამ შემზარავ საკონცენტრაციო ბანაკში უკვე მეორე კვირაა ერთმანეთს მოსდევს საშინელი ღამე. ყოველდღე ხდება მკვლელობანი“.

ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22, 23 და 24 დეკემბერს ჩატარდა ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა ნ. კეცხოველმა.

22 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ პ. შარიასი — „მატერიალისტური დიალექტიკის განვითარება ი. ბ. სტალინის მიერ“.

დოცენტ ი. ბაჯაძის მოხსენების თემა იყო— „ი. სტალინი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ეკონომიური საფუძვლების შესახებ“.

მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ს. ლარცელიანმა მოხსენება გააკეთა თემაზე — „ი. ბ. სტალინი სოციალისტური საზოგადოების განმსაზღვრელი კანონზომიერებისა შესახებ“, მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ლ. ებანოიძემ — „ი. ბ. სტალინი ბურჟუაზიული და სოციალისტური ერების შესახებ“, მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა შ. ბიწაძემ — „ი. ბ. სტალინი კომუნისტური მორალის ძირითადი ნიშნების შესახებ“, მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ნ. ცხაკაიამ — „ი. ბ. სტალინი მუშათა მოძრაობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შესახებ“, პროფესორმა ს. ბერაძემ — ი. ბ. სტალინის შრომის შესახებ „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“, დოცენტმა ვ. ჩანტლაძემ — „ი. ბ. სტალინი ფინანსების შესახებ“, დოცენტმა ვ. აბულაძემ — „ი. ბ. სტალინი საბჭოთა ვაჭრობის შესახებ“, პროფესორმა დ. პოლუმორდვინოვმა გააკეთა მოხსენება — „სტალინური კონსტიტუცია და დისპოზიციურობისა და შეჯიბრების პრინციპები სოციალისტურ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში“, პროფესორმა დ. ენუქიძემ — „ი. ბ. სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა დ. ფანჩულიძემ თემაზე — „ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ“, დოცენტმა ქს. სახარულიძემ — „ი. ბ. სტალინის სახე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“, პროფესორმა ნ. ილინსკიმ — „ი. ბ. სტალინი — დიდ სამამულო ომში პარტიზანული მოძრაობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მხატვრულ-მემუარული ლიტერატურის მიხედვით“, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა ლ. მელიქსეთ-ბეგმა—„ი. ბ. სტალინის სახე სომხურ პოეზიაში“.

24 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე, რომელიც შედგა უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში, მოხსენებებით გამოვიდნენ: დოცენტი ლ. გორგილაძე — „ი. ბ. სტალინი განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი გ. ახვლედიანი — „ენის პრობლემები ი. ბ. სტალინის შრომებში“, დოცენტი ს. ჭილაია — „ი. ბ. სტალინის სახე ქართულ პროზაში“.

სამეცნიერო სესია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება 29 და 30 დეკემბერს ქალაქის პირველ საავადმყოფოში მართავს სამეცნიერო სესიას.

29 დეკემბერს სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: ექიმი ა. ბარამია — „ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, პროფესორი დ. ბერეტიანი — „მწვავე მუცელი და მისი მკურნალობა კლინიკის მასალის მიხედვით“, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი შ. გუგეშვილი — „ნატრიუმის მნიშვნელობის საკითხისათვის შუშუპების პათოგენებში“, დოცენტი ნ. ბოკერია — „საშვილოსნოს ქორიონ-ეპითელიომის საკითხისათვის“, დოცენტი ს. ასლანიშვილი — „თირეოტოქსიკოზი და მისი მკურნალობის მეთოდები“, ექიმი ნ. ქავთარაძე — „თვის ტვინის ცისტიცერკოზის საკითხისათვის“, დოცენტი ი. ფალავა და ექიმი ი. ჩოგავაძე — „C“ ვიტამინისა და გლუტათიონის რაოდენობა სისხლში და „C“ ვიტამინის რყევადობა ცერებროსპინალურ სითხეში ტუბერკულოზური მენინგიტის სტრეპტომიცინით მკურნალობის დროს“.

30 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები დოცენტ მ. გიგოლოვისა — „ქუჩის სატრანსპორტო ტრავმის საკითხისათვის“, პროფესორ ი. ცინცაძისა და ასისტენტ ვ. შუბლაძისა — „ბრონპის კლინიკის საკითხისათვის“, დოცენტ ვ. ჭეიდლოვისა — „თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების ბავშვთა პოლიკლინიკების და ბავშვთა კონსულტაციების ბავშვთა საავადმყოფოებთან (განყოფილებებთან) გაერთიანების მუშაობის გამოცდილება“, დოცენტ ნ. ალექსიძისა და ლაბორანტ ს. როინიშვილისა — „ქოლესცერიანის რაოდენობა სისხლში არტერიალური ჰიპერტონიის დროს“, ექიმ გ. ნადარეიშვილისა და ექიმ ი. აგლაძისა— „ნერვული სისტემის ათაშნაგის პენიცილინით მკურნალობის შედეგები“, ექიმების ა. გიორგობიანისა და ს. კეშეფაძისა — „ენდოკარდიტების პენიცილინით მკურნალობის საკითხისათვის“, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. მზარეულიშვილისა — „თირკმლების კანქვეშა დაზიანებანი (კლინიკის მასალის მიხედვით)“, ექიმ მაღნარაძისა — „ტონზილარული წარმოშობის ირიდოციკლიტები“, ექიმ ხინთიბიძისა— „Schönlein - Henoch - ის დაავადება ქირურგიულ კლინიკაში“.

ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი

მოსკოვს ჩამოსული მომძე რესპუბლიკათა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები გამოდიან მოსკოვის უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, დედაქალაქის კლუბებსა და კულტურის სასახლეებში.

23 დეკემბერს ს. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში შედგა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დიდი კონცერტი. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია კომპოზიტორი შ. მშველაძე.

ანსამბლმა დიდი წარმატებით შეასრულა ხალხური სიმღერები ამხანაგ ი. ბ. სტალინზე, ეროვნული სიმღერები და ცეკვები.

კონცერტმა, რომელსაც მრავალი მოსკოველი დაესწრო, დიდი წარმატებით ჩაიარა. (საკდესი).

ჯურნირი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

23 დეკემბერს გათამაშდა ორი პირველი ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

რუბცოვამ (სსრ კავშირი) სწრაფად განაზორციელა თვითმკვლელობა და მოუგო გრესერს (ამერიკის შეერთებული შტატები). შოდე დე სალანის (საფრანგეთი) და რუბცოვას (სსრ კავშირი) პარტია 54-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ბიკოვამ (სსრ კავშირი) მოუგო ტრენმერს (ინგლისი). ტრენმერმა წაიგო აგრეთვე კელერთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). რუდენკომ (სსრ კავშირი) მოუგო ბიკოვას (სსრ კავშირი) და დამარცხებულად ცნო თავი პარტიაში გრეესერთან (ამერიკის შეერთებული შტატები), ბელოვა (სსრ კავშირი), მიუხედავად მტკიცე წინააღმდეგობისა, იძულებული გახდა დაეთმო პარტია ჰეემსკერკთან (ჰოლანდია). გერმანოვა (პოლონეთი) — გრუშკოვა-ბელსკას (ჩეხოსლოვაკია) და ჰეემსკერკ (ჰოლანდია) — კარფის (ამერიკის შეერთებული შტატები) პარტიები ყაიმით დამთავრდა. კარფმა (ამერიკის შეერთებული შტატები) მოუგო ლარსენს (დანია).

თამაში დაიწყო ტურნირის დაგვიანებულმა მონაწილემ ლანგშმა (უნგრეთი). მისი პარტია მორასთან (კუბა)